585
1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 18 (251) 2 ივლისი 1964 წელი

4362

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

309. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ს. ს. ნემჩინას ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.

310. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ი. ი. მარჩუკის ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

311. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. ვ. ანდროპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

312. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ჟანგბად-კონვენტორის საამქროს და კაჩკანარის სამთოგამაუხვეველი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დროს.

313. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კავშირგაბმულობის ჯარების მარშალ ი. ტ. პერესიპკინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

314. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ს. კოვალენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

315. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის ორდენებით დანიელ მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ.

316. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „მამაცობისათვის“ დანიელი მოქალაქის სიგვარდ ალბერტ ენსენ-ბალეს დაჯილდოების შესახებ.

317. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვ. ტუტარინოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

318. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საინჟინერო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის ნ. ნ. ალექსეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
319. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა კინორეჟისორ-ოპერატორ გ. ი. ასათიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
320. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ფ. გნესინას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
321. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. გ. შოხანოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
322. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ ოვანეს შირაზის (ო. თ. კარაპეტიანის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ა. მიურისეპს რწმუნების სიგელები გადასცა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. სგურდეოსმა.
ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ.

ნაწილი II

განყოფილება პირველი

323. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა წყალტუბოს საქალაქო საბჭოდან ლაჯანურჰესის ცენტრალური მუშათა დასახლების გამოყოფისა და ცაგერის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული დადგენილება და კანონები

324. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
325. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19 და 21 მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
326. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.
327. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტროს რესპუბლიკური სამინისტროდან საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
328. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

329. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

330. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებების მოწყობისა და იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნან გადაყვანილი ამ კოლონია-დასახლებებში მსჯავრდებულნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას“ დამტკიცების თაობაზე.

331. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

332. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

333. კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის ბრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე.

განყოფილება მეორე

334. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მედლით „ხანძარზე მაპაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

335. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. კ. ა. კარპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

336. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. კ. კაკალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

337. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ი. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

338. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. ი. მაჭარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში.
საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

309 **ს. ს. ნემჩინას ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ**

გათავისუფლდეს სერგი სერგის ძე **ნემჩინა** ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ივნისი.
№ 2572-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

310 **ი. ი. მარჩუკის ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად დანიშვნის შესახებ**

დაინიშნოს ივანე ივანეს ძე **მარჩუკი** ბურუნდის სამეფოში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 12 ივნისი.
№ 2573-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

311 **ამხ. ი. ვ. ანდროპოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ**

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. იური ვლადიმერის ძე **ანდროპოვი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 13 ივნისი.
№ 2587-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

312 სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების იმ მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ჟანგბად-კონვენტორის საამქროს და კაჩკანარის სამთოგამამუხვებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დროს

შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ჟანგბად-კონვენტორის საამქროს და კაჩკანარის სამთოგამამუხვებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობის დროს მოპოვებული თვალსაჩინო საწარმოო მიღწევებისათვის მიენიჭოთ **სოციალისტური შრომის გმირის** წოდება და გადაეცეთ **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“**:

1. დიმიტრი ემელიანეს ძე **კუზმენკოს** — ტრესტ „ტაგილსტროის“ მმართველს.

2. სიმონ ანდრიას ძე **მინკოს** — ტრესტ „ვოსტოკმეტალურგმონტაჟის“ ნიჟნი-ტაგილის სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟე ზეინკალთა ბრიგადირს.

3. ვასილ ნიკოლოზის ძე **მიტიაგინს** — ტრესტ „ურალსტალკონსტრუქციის“ ნიჟნი-ტაგილის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირს.

4. ალექსანდრე ვასილის ძე **მურაშოვს** — ტრესტ „კაჩკანარრუდსტროის“ № 2 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

5. ვასილ ალექსის ძე **პუშკარევს** — ტრესტ „კაჩკანარრუდსტროის“ მექანიზაციის სამმართველოს ამწეს მემანქანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 16 ივნისი.
№ 2595-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

313 კავშირგაბმულობის ჯარების მარშალ ი. ტ. პერესიპკინის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით კავშირგაბმულობის ჯარების მარშალი ივანე ტერენტის ძე **პერესიპკინი** დაჯილდოვდეს **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ივნისი.
№ 2597-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

314 ამხ. კ. ს. კოვალენკოს შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ოდესის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. კონსტანტინე სტეფანეს ძე **კოვალენკო** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 17 ივნისი.
№ 2598-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

315 სსრ კავშირის ორდენებით დანიელ მოქალაქეთა დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეებისა და ბავშვების გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის და იმის გამო, რომ დახმარება გაუწიეს მათ, დაჯილდოვდნენ **წითელი ვარსკვლავის** ორდენით დანიელი მოქალაქეები:

1. **ტორვალდ ენსენი.**
2. **პაულ ლუნდი.**
3. **სიორენ მიოლერ პედერსენი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივნისი.
№ 2600-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

316 მედლით „მამაცობისათვის“ დანიელი მოქალაქის სიგვარდ ალბერტ ენსენ-ბალეს დაჯილდოების შესახებ

დიდი სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა სამხედრო მოსამსახურეების გადარჩენის დროს გამოჩენილი მამაცობისა და გამბედაობისათვის და იმის გამო, რომ დახმარება გაუწია მათ, დაჯილდოვდეს მედლით „**მამაცობისათვის**“ დანიელი მოქალაქე სიგვარდ ალბერტ **ენსენ-ბალე.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივნისი.
№ 2616-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

317 გენერალ-პოლკოვნიკ ი. ვ. ტუტარინოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა არმიის წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით გენერალ-პოლკოვნიკი ივანე ვასილის ძე **ტუტარინოვი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 18 ივნისი.
№ 2617-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

318 საინჟინერო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტის ნ.ნ. ალექსეევის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საინჟინერო-ტექნიკური სამსახურის გენერალ-ლეიტენანტი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე **ალექსეევი** დაჯილდოვდეს **წითელი ვარსკვლავის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ივნისი.
№ 2625-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

319 კინორეჟისორ-ოპერატორ გ. ი. ასათიანის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების საქართველოს სტუდიის კინორეჟისორ-ოპერატორი გიორგი ირაკლის ძე **ასათიანი** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ივნისი.
№ 2626-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

320 რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის ე. ფ. გნესინას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წელთან დაკავშირებით გნესინების სახელობის სახელმწიფო მუსიკალურ-პედაგოგიური ინსტიტუტის სამხატვრო ხელმძღვანელი, რუსეთის სფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ელენე ფაბიანის ასული **გნესინა** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი** დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 19 ივნისი.
№ 2627-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

321 ამხ. ა. გ. შოხანოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით ხმელნიცკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამრეწველო) საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ანდრია გიორგის ძე **შოხანოვი** დაჯილდოვდეს **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ივნისი.
№ 2634-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

322 მწერალ ოვანეს შირაზის (ო. თ. კარაპეტიანის) შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით მწერალი ოვანეს **შირაზი** (ოვანეს თათევოსის ძე კარაპეტიანი) დაჯილდოვდეს **შრომის წითელი** დროშის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 24 ივნისი.
№ 2635-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

შუა ურალის სახალხო მეურნეობის საბჭოს ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ჟანგბად-კონვენტორის საამქროს და კაჩკანარის სამთოგამაუხვებელი კომბინატის პირველი რიგის მშენებლობისა და ათვისების დროს მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 16 ივნისის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 294 მუშაკი, რომელთაც ყველაზე მეტად გამოიჩინეს თავი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან: ტრესტ „კაჩკანარრუდსტროის“ № 4 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსურ-სამონტაჟო ბრიგადის ბრიგადირი ი. თ. აზარენკო, ტრესტ „ტაგილსტროის“ სამმართველო „პრომსტროის“ კალატოზთა ბრიგადირი ნ. ა. ვახრუშევი, ტრესტ „კაჩკანარრუდსტროის“ № 7 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი ი. ნ. ვლასენკო, ტრესტ „ვოსტოკმეტალურგმონტაჟის“ ნიჟნი-ტაგილის სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი მ. ხ. ვოხმიანინი, ტრესტ „ურალსპეცსტროის“ კაჩკანარის სპეციალიზებული სამმართველოს უფროსი ი. მ. კოლესნიკოვი, ტრესტ „ურალსტალკონსტრუქციას“ ნიჟნი-ტაგილის სპეციალიზებული სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მემონტაჟეთა ბრიგადირი ლ. ა. ნოვოკშონოვი, ტრესტ „ურალსპეცსტროის“ ნიჟნი-ტაგილის № 1 სპეციალიზებული სამმართველოს ექსკავატორის მემანქანე ბ. ო. პოლიონკო, ნიჟნი-ტაგილის ვ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული კომბინატის ფასონსამსხმელო საამქროს მეყალიბე ა. ს. სავინიხი და ტრესტ „ტაგილსტროის“ საწარმოო განყოფილების უფროსი თ. ბ. შაპირო.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებულია 37 კაცი, „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 95, მედლით „შრომითი მამაცობისათვის“ — 83 და მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“ — 70 კაცი.

ბრძანებულება ქვეყნდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებში“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს ა. ა. მიურისეპს რწმუნების სიგელები გადასცა საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ა. სგურდეოსმა

10 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ა. მიურისეპმა კრემლში მიიღო საბერძნეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ალექსანდრე სგურდეოსი, რომელმაც გადასცა თავისი რწმუნების სიგელები.

ელჩს თან ახლდნენ საელჩოს მრჩევლები ი. ძუნისი, ნ. დემატასი და პირველი მდივანი ა. პ. პაპადოპულოსი.

რწმუნების სიგელების გადაცემას ესწრებოდნენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭოს პრეზიდიუმის სამდივნოს უფროსი კ. უ. ჩერნენკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ს. ტ. ასტავინი, თ. თ. მოლოჩკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

რწმუნების სიგელების გადაცემისა და მას შემდეგ, რაც სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, ა. ა. მიურისეპსა და ა. სგურდეოსს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ნ. პ. ფირიუბინმა და კ. უ. ჩერნენკომ.

* *
*

ალექსანდრე სგურდეოსი დაიბადა 1912 წელს სტამბოლში. დაამთავრა პარიზის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1935 წლიდან დიპლომატიურ სამუშაოზეა. იყო საკონსულო სამსახურში. აქვს დესპანის რანგი. 1960 წლიდან სსრ კავშირში საბერძნეთის ელჩად დანიშვნამდე ა. სგურდეოსი მუშაობდა საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ეკონომიური დეპარტამენტის უფროსად.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარ ცვლილებათა შესახებ

რ ს ფ ს რ

ივანოვოს სამრეწველო რაიონის გადარქმევა

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 6 ივნისის ბრძანებულებით ივანოვოს ოლქის ივანოვოს სამრეწველო რაიონს დაერქვა **საბჭოთა** სამრეწველო რაიონი.

ყაზახეთის სსრ

აკსუს სასოფლო რაიონის ცენტრის გადატანა

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 30 მაისის ბრძანებულებით ალმა-ატის ოლქის აკსუს სასოფლო რაიონის ცენტრი სოფელ აკსუდან გადატანილია სოფელ **აბაკუმოვკაში.**

№ 18 (251) ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

323 **წყალტუბოს საქალაქო საბჭოდან ლაჯანურჰესის ცენტრალური მუშათა დასახლების გამოყოფისა და ცაგერის რაიონისათვის მიკუთვნების შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

გამოეყოს წყალტუბოს საქალაქო საბჭოს ლაჯანურჰესის ცენტრალური მუშათა დასახლება და მიეკუთვნოს ცაგერის რაიონს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 23 ივნისი.

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის მიერ მიღებული დადგენილება და კანონები

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

324 **საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ**

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესია, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ გ. დ. ჯავახიშვილის მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, აღნიშნავს, რომ ხუთი თვის გეგმა რესპუბლიკის მრეწველობამ შეასრულა 102,8 პროცენტით, აქედან საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებმა — 103,3 პროცენტით, ადგილობრივი საბჭოების მრეწველობამ — 108,9 პროცენტით და რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების საწარმოებმა — 97,8 პროცენტით. გეგმის ზევით გამოშვებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია. საანგარიშო პერიოდში გადაჭარბებით შესრულდა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეობის წარმოების დავალებანი. მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა გადამეტებით შეასრულეს რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნებმა, მანქანათმშენებლობის და ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთმშენებლობის მრეწველობის სამმართველოებმა, ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა, ტრესტებმა „ტყვარჩელქვანახშირმა“, „ტყიბულქვანახშირმა“, „საქჩაიმ“, „სამტრესტმა“, და „საქპურკონდიტერმა“, კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა და სხვ.

მეცნიერული ბიბლიოთეკა

წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დანერგვის ბაზაზე ათვისებული და გამოშვებულია მთელი რიგი ახალი სახის სამრეწველო პროდუქცია.

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ და საკავშირო „სპეცმონტაჟმშენის" ორგანიზაციებმა წარმატებით დაამთავრეს ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში ორი დახურული ელექტროღუმელის მშენებლობა.

შრომის ნაყოფიერების ხუთი თვის გეგმა მრეწველობაში შესრულებულია 102,3 პროცენტით.

გეგმის ზევით გამოშვებული მთელი პროდუქციის 75 პროცენტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე.

მცირდება ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომელთაც დაგეგმილი ჰქონდათ ზარალი და სახელმწიფო დოტაციას იღებდნენ.

რესპუბლიკის საწარმოებში, ლაბორატორიებსა და საკონსტრუქტორო ბიუროებში ფართოდ არის გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა მანქანებისა და მოწყობილობის ახალი კონსტრუქციებისა და ახალი ტექნოლოგიური პროცესების შემუშავება-დანერგვისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დიდმა ნაწილმა დროულად და ხარისხიანად ჩაატარა ჩაის პლანტაციების გადაბარვა, გასხვლა, ნარგავებში სასუქების შეტანა, ბაღებისა და ვენახების საგაზაფხულო დამუშავება და სხვ.

დადგენილ ვადებში და ხარისხიანად ტარდება ტრაქტორების, კომბაინების და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შეკეთება. წარმატებით მიმდინარეობს ჩაის ფოთლის კრეფა. მიმდინარე წლის 18 ივნისისათვის მოკრეფილია 82605 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ხორცის დამზადების ნახევარი წლის გეგმა 10 ივნისისათვის შესრულებულია 90,5 პროცენტით.

ამაღლდა ავტოტრანსპორტის გამოყენების კოეფიციენტი, შემცირდა ტვირთის გადაზიდვის თვითღირებულება.

განვითარდა და გაძლიერდა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სულ უფრო მეტად ინერგება მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების პროგრესული ფორმები, ფართოვდება საქონლის ასორტიმენტი და უმჯობესდება მისი ხარისხი.

გადიდდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების ქსელი, წარმოიშვა მომსახურების ახალი სახეობები და ფორმები.

წარმატებით სრულდება სამეცნიერო-საკვლევო და საცდელ სამუშაოთა გეგმები.

ამასთან ერთად, გასული ხუთი თვის მანძილზე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაობაში, განსაკუთრებით კი მშენებლობაზე, ადგილი ჰქონდა რიგ არსებით ნაკლოვანებებს.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების გეგმა მთლიანად გადაჭარბებით არის შესრულებული, პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის დავალება ვერ შეასრულეს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის, ხის დამმუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის, ხორცისა და რძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის სამმართველოებმა, სატყეო მეურნეობის და ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა და სხვ. სახალხო მეურნეობის საბჭოს 550 საწარმოდან 90 საწარმომ, ანუ 16,4 პროცენტმა, არ შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობას დააკლდა 9.028 ათასი მანეთის პროდუქცია.

არ შესრულდა მინერალური სასუქების, მსხვილი ელექტრომანქანების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, მაგისტრალური ელმავლების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, საკედლე პანელების, ბამბის ქსოვილების, ქრომის ტყავსაქონლის, ავეჯის, ერბო-კარაქის, ყველის და კვების სხვა პროდუქტების წარმოების გეგმები.

მსუბუქი მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისას არღვევდნენ გეგმით გათვალისწინებულ ასორტიმენტს და მთელ რიგ შემთხვევებში უშვებდნენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას.

ჯერ კიდევ მაღალია მუშახელის დენადობა.

ჩამორჩენას აქვს ადგილი საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის, ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმის შესრულების საქმეში.

გასული ხუთი თვის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის საერთო მოცულობა შესრულებულია 76,5 პროცენტით, სოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 87 პროცენტით.

მნიშვნელოვნად ჩამორჩება საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა (73,3 პროცენტი).

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ ვერ უზრუნველყვეს საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

საქონელბრუნვის ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 95,7 პროცენტით, მათ შორის კოოპერაციულ ვაჭრობაში — 96,4 პროცენტით.

დიდია ზენორმატიული ნაშთების დაგროვება სამრეწველო საწარმოებში, სავაჭრო საბითუმო ბაზებსა და საცალო სავაჭრო ქსელში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სოფლად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლამდელი, სასკოლო, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობას, არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისათვის. ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ არასაკმარისია დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრეწველობის სამმართველოებმა, სატყეო მეურნეობის და ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს საწარმოებმა და სხვ. სახალხო მეურნეობის საბჭოს 550 საწარმოდან 90 საწარმომ, ანუ 16,4 პროცენტმა, არ შეასრულა მთლიანი პროდუქციის გამოშვების ხუთი თვის გეგმა, რის შედეგადაც სახალხო მეურნეობას დააკლდა 9.028 ათასი მანეთის პროდუქცია.

არ შესრულდა მინერალური სასუქების, მსხვილი ელექტრომანქანების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, მაგისტრალური ელმავლების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, საკედლე პანელების, ბამბის ქსოვილების, ქრომის ტყავსაქონლის, ავეჯის, ერბო-კარაქის, ყველის და კვების სხვა პროდუქტების წარმოების გეგმები.

მსუბუქი მრეწველობის და მრეწველობის სხვა დარგების საწარმოები სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებისას არღვევდნენ გეგმით გათვალისწინებულ ასორტიმენტს და მთელ რიგ შემთხვევებში უშვებდნენ არადამაკმაყოფილებელი ხარისხის პროდუქციას.

ჯერ კიდევ მაღალია მუშახელის დენადობა.

ჩამორჩენას აქვს ადგილი საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის, ხეხილის ბაღებისა და ვენახების გაშენების გეგმის შესრულების საქმეში.

გასული ხუთი თვის მანძილზე სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა გეგმის საერთო მოცულობა შესრულებულია 76,5 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 87 პროცენტით.

მნიშვნელოვნად ჩამორჩება საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობა (73,3 პროცენტი).

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირის გამგეობამ ვერ უზრუნველყვეს საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულება.

საქონელბრუნვის ხუთი თვის გეგმა შესრულებულია 95,7 პროცენტით, მათ შორის კოოპერაციულ ვაჭრობაში — 96,4 პროცენტით.

დიდია ზენორმატიული ნაშთების დაგროვება სამრეწველო საწარმოებში, სავაჭრო საბითუმო ბაზებსა და საცალო სავაჭრო ქსელში.

საყოფაცხოვრებო მომსახურების არსებული დონე ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებას, განსაკუთრებით სოფლად.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სკოლამდელი, სასკოლო, ჯანმრთელობის დაცვის, საყოფაცხოვრებო დანიშნულების დაწესებულებათა მშენებლობას, არ ატარებენ საჭირო ღონისძიებებს სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისათვის. ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ არასაკმარისია დეპუტატების, მუდმივი კომისიებისა და აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის გეგმის წარმატებით შესრულების საქმეში.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ ჩატარებული მუშაობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

მუნ. 624
ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას და გაატაროს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს 1964 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი თვითეულ ჩამორჩენილ საწარმოსა და მშენებლობაზე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

ა) სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის, განსაკუთრებით მინერალური სასუქების, მაგისტრალური ელმავლების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, ასაკრეფი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბის ქსოვილებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზების ლიკვიდაციას, ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულ ათვისებას;

ბ) პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, განსაკუთრებით მსუბუქ და კვების მრეწველობაში;

გ) საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშახელის დენადობის და მისი ზეგეგმური მოცდენების ლიკვიდაციას და შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს:

ა) მიიღონ ზომები საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ მუშაობა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში; დროულად ჩაატარონ ყველა სახის აგროტექნიკური ღონისძიებანი დასუსტებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაჯანსაღებისათვის, ყურძნის და ხილის მაღალი მოსავლის მისაღებად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მის ქვემდებარე სამშენებლო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები, რათა აუცილებლად შესრულდეს მშენებლობის, აგრეთვე ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების საექსპლუატაციოდ გადაცემის 1964 წლისათვის დაწესებული პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მომავალშიც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებას და გაატაროს ღონისძიებანი გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად უზრუნველყოს 1964 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული ქიმიური მრეწველობის სიმძლავრეთა საექსპლუატაციოდ გადაცემა.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების 1964 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მდგომარეობა და დასახონ საჭირო ღონისძიებანი თვითეულ ჩამორჩენილ საწარმოსა და მშენებლობაზე არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ:

ა) სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული პროდუქციის, განსაკუთრებით მინერალური სასუქების, მაგისტრალური ელმავლების, სპეციალური ლითონსაჭრელი ჩარხების, ასაკრეფი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ბამბის ქსოვილებისა და სხვა პროდუქციის გამოშვებაში არსებული ჩამორჩენის მიზეზების ლიკვიდაციას, ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა სრულ ათვისებას;

ბ) პროდუქციის ხარისხის ამაღლებას და ასორტიმენტის გაუმჯობესებას, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას, განსაკუთრებით მსუბუქ და კვების მრეწველობაში;

გ) საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშახელის დენადობის და მისი ზეგეგმური მოცდენების ლიკვიდაციას და შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, „საქსოფლტექნიკას", აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოებს:

ა) მიიღონ ზომები საგაზაფხულო კულტურების თესვის, თამბაქოს რგვის და მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების გეგმების შესრულებაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

ბ) გააძლიერონ მუშაობა მრავალწლიანი ნარგავების გაშენებისათვის კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში; დროულად ჩაატარონ ყველა სახის აგროტექნიკური ღონისძიებანი დასუსტებული ვენახებისა და ხეხილის ბაღების გაჯანსაღებისათვის, ყურძნის და ხილის მაღალი მოსავლის მისაღებად.

5. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მის ქვემდებარე სამშენებლო ორგანიზაციებს მიიღონ ქმედითი ზომები, რათა აუცილებლად შესრულდეს მშენებლობის, აგრეთვე ძირითადი ფონდებისა და სიმძლავრეების საექსპლუატაციოდ გადაცემის 1964 წლისათვის დაწესებული პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ 1964 წლის საქონელბრუნვის გეგმის შესრულება, სერიოზული ყურადღება დაუთმონ ჩაწოლილი და ჩამოფასებული საქონლის გაყიდვის ორგანიზაციას.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს შეიმუშაონ და განახორციელონ საბინაო და კომუნალური მშენებლობის, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, საავადმყოფოების, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების დაწესებულ ვადებში საექსპლუატაციოდ გადაცემის ღონისძიებანი.

8. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს უზრუნველყონ დეპუტატების, მუდმივი კომისიების და ფართო აქტივის მონაწილეობა სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების საქმეში; ადგილობრივი საბჭოების სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე განიხილონ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესრულების მდგომარეობა და დააწესონ სათანადო კონტროლი ამ საკითხებზე მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობაზე, მიიღონ სათანადო ზომები სამშენებლო ობიექტების მუშახელით უზრუნველყოფისათვის;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქცეონ საბჭოების დეპუტატთა ავანგარდულ როლს საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების წინაშე მდგომ ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში, ფართოდ განაზოგადონ მოწინავე დეპუტატების და მუდმივი კომისიების მუშაობის დადებითი გამოცდილება.

*

* *

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები და მათი აღმასკომები, სამინისტროები და უწყებები, რესპუბლიკის მშრომელები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმის შესასრულებლად და თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

325 „ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 19 და 21 მუხლებში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 7 აპრილის ბრძანებულება „ჩაქვისა და სამტრედიის რაიონების ცენტრების გადატანის შესახებ“.

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 19 და 21 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 19. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისაგან, ამბროლაურის, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბოლნისის, გარდაბნის, გეგეჭკორის, გორის, გურჯაანის, დუშეთის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თეთრი წყაროს, თელავის, თიანეთის, ლანჩხუთის, ლენტეხის, მაიაკოვსკის, მახარაძის, მესტიის, მცხეთის, ორჯონიკიძის, საგარეჯოს, საჩხერის, სიღნაღის, ყაზბეგის, ყვარლის, ჩოხატაურის, ცაგერის, ცხაკაიას, წალენჯიხის, წულუკიძის, წყალტუბოს, ხაშურის სასოფლო და მარნეულის სამრეწველო რაიონებისაგან და ქალაქების: თბილისის, ბორჯომის, გორის, ზესტაფონის, ზუგდიდის, თელავის, კასპის, რუსთავის, სამტრედიის, ტყიბულის, ფოთის, ქუთაისის, წყალტუბოსა და ჭიათურისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

„მუხლი 21. აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: ქედის, ქობულეთის, ხულოს რაიონებისაგან და ქალაქების: ბათუმისა და ქობულეთისაგან, რომლებიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

326 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 3 მარტის ბრძანებულება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის რესპუბლიკურ ორგანოდან საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

327 საქართველოს სსრ ზოგიერთი სამინისტროს რესპუბლიკური სამინისტროდან საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის თაობაზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 55 და 56 მუხლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 20 მარტის ბრძანებულებანი:

„საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“;

„საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის რესპუბლიკური სამინისტროს საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის 55 და 56 მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 55. საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროებია:

ვაჭრობისა;
თავდაცვისა;
კავშირგაბმულობისა;
კულტურისა;
საგარეო საქმეთა;
სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადებისა;
ფინანსთა;
წყალთა მეურნეობისა;
ჯანმრთელობის დაცვისა.

მუხლი 56. საქართველოს სსრ რესპუბლიკური სამინისტროებია:

განათლებისა;
კომუნალური მეურნეობისა;
მშენებლობისა;
საავტომობილო ტრანსპორტისა;
საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა;
სოციალური უზრუნველყოფისა“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

328 „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 29 აპრილის ბრძანებულება „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54 მუხლის დამატების შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

329 „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულება „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

330 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებების მოწყობისა და იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნან გადაყვანილი ამ კოლონია-დასახლებებში მსჯავრდებულნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას“ დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის ბრძანებულება „შრომა-გასწორების კოლონია-დასახლებების მოწყობისა და იმ წესის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნან გადაყვანილი ამ კო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონია-დასახლებებში მსჯავრდებულნი, რომელთაც მისჯილი აქვთ თავისუფლების აღკვეთა და რომლებიც მტკიცედ დაადგნენ გამოსწორების გზას".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

331 „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 11 მარტის ბრძანებულება „ნადირობის წესების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

332 „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 თებერვლის ბრძანებულება „არაკოოპერირებულ შინამრეწველთა და ხელოსანთა რეგისტრაციის წესების დარღვევისა და აკრძალული რეწვის წარმოებისათვის გადიდებული ჯარიმის დაწესების შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

333 **„ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის გრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულების დამტკიცების თაობაზე**

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 28 იანვრის გრძანებულება „ადმინისტრაციული წესით ჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის თაობაზე“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 19 აპრილის გრძანებულების მე-2 და მე-15 პუნქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 19 ივნისი.

განკოფილება მეორე

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

334 **მედლით „ხანძარზე მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ**

ხანძრის ჩაქრობის დროს გამბედაობისა და თავგანწირულობის გამოჩენითვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულ იქნან მედლით **„ხანძარზე მამაცობისათვის“:**

1. ივანე ალექსის ძე **დულინი** — რიგითი ჯარისკაცი.
2. ვლადიმერ არსენტის ძე **მალახაევი** — რიგითი ჯარისკაცი.
3. ვიტალი ალექსანდრეს ძე **მარჩენკო** — რიგითი ჯარისკაცი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 20 ივნისი.

გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

335 **ამხ. კ. ა. კარპოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ**

ხანგრძლივი, ნაყოფიერი და აქტიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობისათვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი 1904

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლიდან, პერსონალური პენსიონერი ამხ. კონსტანტინე ალექსის ძე **კარპოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 22 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

336 ამხ. ი. კ. კაკალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ამხ. ილარიონ კადირის ძე კაკალია დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

337 ამხ. ა. ი. ცქიტიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხიდების მშენებლობის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სახელმწიფო საწარმოო კომიტეტის ხიდების მშენებლობის № 571 სპეციალიზებული სამმართველოს უფროსი ამხ. ანდრია ირაკლის ძე **ცქიტიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 24 ივნისი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

338 ამხ. ვ. ი. მაჭარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოცწლეთან დაკავშირებით მაიაკოვსკის რაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ონის ტობანიერის მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ვალერიან ივანეს ძე **მაჭარაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ზ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 25 ივნისი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივ კომისიაში

ამ დღეებში გაიმართა საქრთველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიის სხდომა.

კომისიის სხდომამ განიხილა ორი საკითხი: წყალტუბოს, გორისა და გარდაბნის კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მცენარეთა დაცვის მდგომარეობა და ახალქალაქის, დუშეთის, თეთრი წყაროს, საგარეჯოს, მაიაკოვსკის, თელავის და ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მეცხოველეობის ქიმიზაციის ღონისძიებათა განხორციელების მდგომარეობა.

ორივე საკითხზე ინფორმაცია გააკეთა დეპუტატმა ნ. ხომიზურაშვილმა.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს დეპუტატებმა ლ. ყანჩაველმა და ლ. არსენიშვილმა, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მცენარეთა დაცვის სამმართველოს უფროსმა გ. ბილანიშვილმა, ამავე სამინისტროს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს უფროსმა გ. რუხაიამ.

კომისიის დადგენილებით შემოწმების მასალები გადაეგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტები წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას". მათ რჩევა მიეცათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1964 წლის 20 ივნისის ბრძანებულებით დააჯილდოვა **„სახელოვანი დედის"** ორდენებითა და **„დედობის მედლის"** მედლებით 540 მრავალშვილიანი დედა, **მათ შორის:**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქ. ფოთიდან	—	10
„ გორიდან	—	4
„ ქუთაისიდან	—	7
„ ბორჯომიდან	—	7
ახალქალაქის რაიონიდან	—	37
ახმეტის „	—	51
გარდაბნის „	—	75
გეგეჭკორის „	—	30
გორის „	—	25
გურჯაანის „	—	1
ბოლნისის „	—	129
დუშეთის „	—	6
თეთრი წყაროს „	—	50
თიანეთის „	—	18
ლენტეხის „	—	16
მარნეულის „	—	30
მცხეთის „	—	9
მესტიის „	—	5
ჩოხატაურის „	—	18
ცაგერის „	—	12